# სახალხო გაზეთი

№ 1154 ოთხშაბათი, 2 აპრილი 1914 წ. № 1154

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებისა—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის
„სახალხო გაზეთზე“
(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.
წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.
მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.
ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.
მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ П. Ящ. 190

უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიას გასასყიდად
**არჩილ ჯორჯაძის**
თხზულებათა
**მეხუთე ტომი**
ფასი ერთი მანეთი.

მეუღლე ელისაბედი, შვილნი: თინა და დათიკო, ძმანი: გიორგი და თეოფილე და დანი: მატრონე, ეკა, სოფიო და თამარი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ტაშკენტში გარდაცვალებულ

**სვიმონ დავითის ძის ოთხმეზურის**

გვამს მიწას მიაბარამენ სოფ. დვაბზუში (გურია) წმინდა გიორგის ეკლესიაში, ორ აპრილს, საღამოს ხუთ საათზე. 59

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:**

ჩვენი მწერლობა.

| | |
|---|---|
| ყაზბეგი. ილიას ნაწერები, | ფასი 1 მ. |
| ხუნდაძე სილოვან. ლექსები, ქ. 1902, | 50 კ. |
| —მეზობლები და თოთოლას სიზმარი, ბ. 1899 წ. | 5 ,, |
| —ჩემი აზრი და ფიქრები, ნაწ. 1-ლი, ქ. 1901. | 20 ,, |
| —ცხოვრების სურათები. ჩემი აზრი და ფიქრები, მე-2-ე ნაწ. 1902. | 20 ,, |
| —სიმები, ქუთ. 1894. | 5 ,, |
| ქართ. ლიტერატურის სახელმძღვანელო, ნიკ. ბარათაშვილი, | 15 ,, |
| ხუსკივაძე. თხზულებანი, | 30 ,, |
| —ეკატერინე ბატონიშვილი, 1895, | 5 ,, |
| ფანცხავა. თხზულებანი, ფოთ. 1903, | 1 მ. — |
| ხევის-უბნელი. ცხენის წურბელა, მოთხრობა ჩვენი გლეხის ცხოვრებიდან, | 15 ,, |
| შანშიაშვილი. შვების თავადი, | 60 ,, |
| —სულამიტი ლირიკ. პოემა, ტ. 1909, | 10 ,, |
| ჩარხიშვილი. ცხოვრება და სიყვარული, ტ. 1904. | 40 ,, |
| —ლექსები და პოემები, ტფ. 1903, | 15 ,, |
| სალიტერატურო კრებული „გრდემლი“, 1-ლი ტ., ტფ. 1912. | 1 მ. 50 ,, |
| იგივე მე-2-ე, 1912. | 1—50 ,, |
| **ახალი წიგნები:** | |
| ა. ჯორჯაძის მეხუთე წიგნი | 1 მ. |
| ვეფხის ტყაოს., ს. კაკაბაძის გამოც. | 2—50 ,, |
| დ. ჯანაშვილი. 1) ქართულ ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან, 2) ქართველი ქალები, | 75 ,, |
| ეკ. გაბაშვილი. ღვინია გადარჩება, საყმაწვილო მოთხრობა. | 5 ,, |

ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва грам.-ср. гр. нас. 1072

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითა სამშობიარო განყოფილებს.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი ბ. ბ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს.<br>ფიდოროვი ე. გ. ყოველ დღე, 11—12<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოვიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერხიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1.<br>ფიდოროვი ბ. ს. ყოველ დღე 11—2.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ—2 ს. |
| ნერვიულ სნეულებ. და ფსიქ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოევი ბ. ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყურ. ყელის და ცხვირ. | ათინიანცი ნ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. სნ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. ჳ. 1070

**ი. ა. ალიხანოვის**
**საკანდიტრო**
**პასკები, კულიჩები, მაზურკები,**
**ხაჭოს პასკები**

გვეშოვება ყოველ-გვარი საკანდიტრო ნაწარმოები, რომელთა კეთილხარისხოვანებაში თავდებნი ვართ. 220

**ვაგზლის სამკურნალოში**
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.
**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე,
**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—$11^1/_2$ საათამდე.
**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.
**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—$11^1/_2$ ს.
**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.
**ვაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.
ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.
რჩევის საფასური—50 კაპ.
**წამლობა „914“.** 1023

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის
**სამკურნალო**
საწოლი ოთახებით
**მიხეილ გედევანიშვილისა**

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ბორლანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1094

**გორის პირველი კერძო**
**სამკურნალო**
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)
განყოფილებებით.

კუთხე სობორის და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:
**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
**წინამძღვრიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
**ბრიუკნერი მ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
**გინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1088

**საბურთალოზე**
მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თელავს ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შეუთანხმდნენ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

**ექიმ ლ. ლ. გოცირიძის**
**სამკურნალო**
**ქალ. ბაქოში**
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1084

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სადგომ. განყოფ. პირდაპირ. 1080

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს., ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 8, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

**ახალი კლუბი**
4, 5 და 6 აპრილს კლუბი დაკეტილი იქნება. 1095

მომავალ ბედნიერი დღეებისათვის მივიღეთ საუკეთესო
**კახური ღვინოები**

ვედრო 2-6 მ.-დე, ბოთლი 15—60 კ.-დე. ვინც სხვა ქალაქებიდან დაიბარებს ღვინოს, გაეგზავნებათ მანეთზე 10 კ. დაკლებით, ხოლო ღირებულების ნაწილი უნდა გამოგზავნონ, დანარჩენი ფას-დადებით გაეგზავნებათ.
სარდაფი იმყოფება ეგზარხოსის მოედანთან, სახ. კოწიწოვისა № 10.

პატივისცემით
**სოლომონ ივანეს ძე კურდღელაშვილი.**

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით, პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

**ფასი 1 მანეთი.**

**ექიმი** ვ. ნ. მაზაკიანი გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38. შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ნაძალადევში
**ექიმი** ი. რ. ხურგულაძე ხუდადოვის ქ., 4.
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი $4^1/_2$—7 საათ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. 141

ქ. გორში
**ექიმი** (დოკტორანტი). მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ- 1050

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^1/_2$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

**ექიმი** პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

## ქართველი ბურჟუაზია და ეროვნული რადიკალიზმი

როდესაც უკანასკნელ ხანებში მომხდარ საზოგადოებრივ დიფერენციაციაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში ჰყავთ ახალი ელემენტი—ქართველი ბურჟუაზია, რომელმაც იდეიური ზე-გავლენა უნდა მოახდინოს სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებზე და ეროვნულ საკითხშიც მეტი რადიკალიზმი შეიტანოს. მართალია, არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, ჩვენ მარტო ბურჟუაზიულ ინტერესებს არ ვიცავთ, ჩვენ დემოკრატები ვართ და ამიტომ ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია დავიცვათ ინტერესები არა მარტო ახლად გამოჩენილი ქართველი ბურჟუაზიისა, არამედ მუშებისაც, თავად-აზნაურობისაც, მღვდელისაც, ერისაც და სხვა იმდენად, რამდენადაც ამას ეროვნული ინტერესი მოითხოვს. როდესაც ამ საგანზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საკამათო საკითხს ორი მხარე აქვს: სოციალური და ეროვნული. სოციალურად მთელი საზოგადოება დაყოფილია კლასებად და შერიგება ამ კლასებისა სოციალურ ნიადაგზე ყოვლად შეუძლებელია. ეს სოციალისტების მიერ მოგონილი, კაბინეტში გამომცხვარი აზრი კი არ არის, ეს არის თვით სინამდვილე, რომელსაც ვერც ერთი ადამიანი, თუ კი ჰსურს ამ სინამდვილის ობიექტიური დამფასებელი იყოს, გვერდს ვერ აუქცევს. მაშასადამე, არც საჭიროა დავებღაუჭოთ დრომოჭმულ აზროვნებას და თავი მოვიტყუოთ ილიუზიით, თითქოს შესაძლებელი იყოს შეთანხმება ამ შეუთანხმებელი ინტერესებისა და ერთს კილოზე, ერთს ხმაზე ავალაპარაკოთ ისინი, ვისაც თვით ცხოვრების ულმობელი კანონი სხვადასხვა კილოზე ალაპარაკებს.

ეგ მართალია, შეიძლება გვითხრან, მაგრამ სოციალური მხარის გარდა, არსებობს ეროვნულიც და ამ უკანასკნელის ნიადაგზე შეიძლება შეთანხმება, შეიძლება მუშა და ბურჟუაზია, გლეხი და მემამულე ერთის გზით წავიდნენ, ერთი მიზანი განახორციელონ. ამის გამოც უნდა მოვახსენოთ, რომ ეს მართალი არ არის, ბურჟუა და მუშა ერთის გზით ვერ ივლიან, თუნდაც ზოგიერთ შემთხვევებში ორივეს ერთნაირი მიზანიც ჰქონდეს. ავიღოთ, მაგალითად, რუსეთი და მისი უფლებრივი მდგომარეობა. შესაძლებელია განსაზღვრული უფლებრივი წეს-წყობილების დამყარება ერთნაირად სასურველი იყოს როგორც მუშისთვის, ისე ბურჟუაზიისთვის, მაგრამ ისინი მაინც ერთად ვერ ივლიან, რადგანაც საბოლოვო მიზანი და დღევანდელი სოციალური სტრუქტურა მათ ჰყოფს ერთმანეთისაგან.

ეს, რა თქმა უნდა, კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს ცხოვრებაში სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფთა შორის საერთო არაფერი იყოს. იმავ ქართველი ბურჟუაზიის განვითარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, ჯერ ერთი იმით, რომ უცხო ბურჟუაზიის ადგილს დაიჭერს და, მაშასადამე, საზოგადოდ ქართულ ცხოვრების განვითარებას უფრო ნორმალურ კალაპოტში ჩააგდებს, მეორეც, ბურჟუაზიის ზრდას თან მოჰყვა ზრდა საზოგადო სიმდიდრისა, რასაც საბოლოვოდ უსათუოდ მნიშვნელობა ექნება ქართული კულტურული ცხოვრების აყვავებასაც, სრულიად დამოუკიდებლად იმისა, თვით მატარებელი ამ სიმდიდრისა, კერძო პიროვნება, ეროვნულად არის განწყობილი თუ არა.

ამის თაობაზე ბევრი რამ გვიწერია და ეხლა მაინც და მაინც ძალიან არ გავაგრძელებთ სიტყვას. ამ ჟამად უმეტეს წილად ლაპარაკი სწარმოებს არა იმის თაობაზე, თუ რა-

სამანუფაქტურო მაღაზია
ძმ. ჯავახოვები და ამხ.
შუა-ბაზარში მანთაშევის მამულში №№ 71, 72, 73.
აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახლად მიღებული გვაქვს ყოველ გვარი მანუფაქტურა: მაუდეულობა, შალეულობა, აბრეშუმეულობა, ტილოები და ბამბის ქსოვილები მოსკოვსა და საზღვარ-გარეთის ქარხნებისა. ვაჭრობა პარტიობით და წვრილ-წვრილად ხელმისაწდომ ფასებში.
შაბათობით იყიდება ნაჭრებიც 50% დაკლებით. 1070

ნაირი შეიძლება იყოს მნიშვნელობა ქართული ბურჟუაზიისა, არამედ იმის თაობაზე, თუ რა **პოლიტიკური როლი** შეიძლება ითამაშოს ქართველმა ბურჟუაზიამ. საჭიროა საკამათო საგანი თავიდანვე ნათლად იყოს დასმული, რომ ცნებათა არევ-დარევამ სრულიად არ მოგვისპოს საშუალება ერთმანეთის გაგებისა და სწორედ დაფასებისა იმისა, რაც დღეს ჩვენს გარშემო ხდება.

აი სწორედ მაშინ, როდესაც ქართული ბურჟუაზიის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, მაშინ კი ჩვენი ახალი მოწინააღმდეგენი, რომელნიც დიდის რიხით გამოვიდნენ ასპარეზზე, სრულს გაუგებრობას იჩენენ იმისას, თუ რა არის ბურჟუაზია და რის მოცემა შეუძლიან მას, როგორც სოციალურ კატეგორიას. ბევრს ისე წარმოუდგენია, რომ ქართველი ბურჟუაზია ეროვნულ-პოლიტიკურად უფრო რადიკალური იქნება, ვიდრე აწ არსებული მემარცხენე ჯგუფები. ეს ჩვენ პირდაპირ ბავშურ გაუგებრობის შედეგად მიგვაჩნია. ბურჟუაზია არსებითად ყველგან და ყოველთვის პოლიტიკურად ზომიერია. რასაკვირველია არა ისე, როგორც თავადაზნაურობა, მაგრამ მუშებსა და გლეხებთან შედარებით კი უფრო ზომიერია. როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, ქართული ბურჟუაზია ეხლა ვითარდება, ეხლა იდგამს ფეხს და ამიტომ საჭიროა ჩვენი დღევანდელი პოლიტიკა იმნაირი იყოს, რომ ამ ახლად ფეხ-ადგმულ ბურჟუაზიას განვითარება გაუადვილდესო, ეს მისაღები თუ არა, ჩვენთვის გასაგები მაინც იქნება. მაგრამ როდესაც გვეუბნებიან, ქართული ბურჟუაზია ამასთანავე ერთად მატარებელი იქნება **რადიკალური პოლიტიკური იდეებისაო**, ეს კი სრულიად გაუგებარია და მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ ამის დამწერთ და მქადაგებლებთ პოლიტიკური ცხოვრების ან-ბანიც არა სცოდნიათ.

ქართველი ბურჟუაზია შეიძლება **რადიკალური** იყოს სხვა რომელიმე ეროვნების ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს, რადგანაც ამ რადიკალიზმს ჰბადებს ბუნებრივი მეტოქეობა. არსებითად ამას არც შეიძლება რადიკალიზმი დაერქვას. ეს იქნება მხოლოდ **ბრძოლა**, შეიძლება **მედგარი** ბრძოლაც მოწინააღმდეგე ბურჟუაზიასთან; მაგრამ ძალიან შევცდარი ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს **უკიდურესობა** ეროვნული ბრძოლისა მეტოქე ბურჟუაზიასთან სწორედ ის **პოლიტიკური რადიკალიზმია**, რომელიც ახასიათებს მემარცხენე ჯგუფებს.

კონკრეტულად ჩვენი ცხოვრება რომ მივიღოთ მხედველობაში, დავინახავთ, რომ ქართველი ბურჟუაზიისათვის სრულიად არ არის ხელსაყრელი პოლიტიკური რადიკალიზმი ეროვნულ სფეროში. ასეთი რადიკალიზმი **რამდენადმე** შეიძლება დაიბადოს იქ, სადაც ამა თუ იმ ეროვნების ბურჟუაზია იმდენად გაზრდილა, რომ სახელმწიფოს საზღვრებში შექმნილ საერთო ნორმებში ვეღარ ეტევა. პოლონეთის კაპიტალიზმი, მაგალითად, იმდენად რომ განვითარდეს, რომ რუსეთი მას გასაქანს აღარ აძლევდეს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოლონეთის ბურჟუაზია უფრო რადიკალურ გზას დაადგება, ვიდრე ეხლა ადგას. მაგრამ ეს არ არის პოლონეთში და რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასე იქნება ჩვენება, სადაც ნამდვილად ბურჟუაზია კი არა, მხოლოდ ბურჟუაზიის ჩანასახია. პირიქით, თუ ისტორიულ მაგალითს ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, იმ უტყუარ აზრს უნდა დავადგეთ, რომ ბურჟუაზია, რადიკალობითაც რომ დაიწყოს, ბოლოს ზომიერობით გაათავებს. იმავ პოლონეთში პირველად ბურჟუაზია შეურიგდა პოლონეთის დამოუკიდებლობას და პირველად მან უქცია ზურგი პოლონეთის პოლიტიკურ რომანტიკოსებს. შემდეგშიაც ნაციონალ-დემოკრატებმა რევოლუციონური გზით დაიწყეს სიარული, მაგრამ გაათავეს იმით, რასაც წარმოადგენს დღეს ეს პარტია. რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენი ბურჟუაზია „სულ სხვანაირი ბურჟუაზია“ იქნება და სხვანაირ პოლიტიკურ აზროვნებასაც შეითვისებს.

ქართველი ბურჟუაზია, როგორც სუსტი და ახლად ფეხ-ადგმული, გაცილებით უფრო ზომიერი იქნება, ვიდრე პოლონეთისა. მისი არსებითი მოთხოვნილება იქნება ზომიერება და სრული უარჰყოფა პოლიტიკური რადიკალიზმისა როგორც **თეორიაში**, ისე **მით უფრო** პრაქტიკაში, რადგანაც ამას მოითხოვს მისი სოციალური მდგომარეობა. აქაც, რუსეთშიაც, შინაურ ცხოვრებაშიაც, საკანონმდებლო დაწესებულებაშიაც მისთვის საჭირო იქნება არა პოლიტიკური რადიკალიზმი, არამედ ზომიერება, რათა ამ ზომიერებამ ხელი შეუწყოს მის ეკონომიურ ზრდას. ეს თანდაყოლილი თვისებაა ბურჟუაზიისა საზოგადოდ და ჩვენი ბურჟუაზიისა—კერძოდ.

შორს რომ არ წავიდეთ, მოიგონეთ, რანაირ კილოზე ლაპარაკობენ, მაგალითად, გორის ვაჭრები. გორის საქალაქო თვითმმართველობაში აღძრულია საკითხი—უფასოდ დაეთმოს თუ ფასით ქალაქის მიწა სამხედრო უწყებას „პოლიგონისთვის“. მოიგონეთ, რანაირად ლაპარაკობენ ხმოსანი—ვაჭრები. სასწორის ერთ მხარესა სდევს ტირიფონის ველი და მეორე მხარეს მწვანილი და კვერცხები, ანუ გორის ვაჭრების ინტერესი. მათ ხელში სასწორმა, რასაკვირველია, იქით გადაჰხარა, სადაც მწვანილი დ კვერცხები აწყვია. მერე, თქვენ გინდათ ამათ როდისმე პოლიტიკურ—ეროვნული რადიკალიზმი მოსთხოვოთ? მათი კვეთება ტიპიური ვაჭრული—ბურჟუაზიულია და ასეთივე ვაჭრული იქნება მათი ეროვნული პოლიტიკაც. ამიტომ, ვისაც საქართველოს ეროვნული იდეალი ოცნებად არ მიაჩნია, ვისაც გულწრფელად ჰსურს, რომ ეს იდეალი პოპულიარული გაჰხდეს როგორც ჩვენში, ისე სხვაგან, უცხოეთში, იგი ბურჟუაზიას და ბურჟუაზიულ **ინტერეს** კი არ უნდა ემყარებოდეს, არამედ ხალხისას, ანუ გლეხ-კაცობისას და მუშებისას.

ჩვენ ამით ის არ გვინდა ვსთქვათ, თითქოს ბურჟუაზიულ ინტერესს თავისი იდეიური გამომხატველი არ უნდა ჰყავდეს. პირ-იქით, საჭიროა და სასარგებლო, რომ, რახან ქართველი ბურჟუაზია იბადება, მას თავისი იდეიური გამომხატველიც ჰყავდეს მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ბურჟუაზია არასოდეს რადიკალურ ეროვნულ-პოლიტიკურ იდეების მატარებელი არ იქნება, თავისი სოციალური მდგომარეობის გამო. პირ-იქით, ძალიან ხშირად ამ რადიკალურ მოთხოვნათა წინააღმდეგ წავა და მისი პრაქტიკული მოღვაწეობა ხომ ამ იდეების დაუსრულებელი ღალატი იქნება. ასეთი ყოფილა ყოველთვის ბურჟუაზია, ასეთი იქნება ჩვენი ბურჟუაზიაც.

**არ. ჯ—შვილი.**

## ქართული პრესა

„**ჩვენი ერი**“ მეთაურს უძღვნის კიდევ „დადებითს პოლიტიკას“. ახასიათებს დღევანდელს სახელმწიფო სათათბიროს და მის მოღვაწეობას, ამის დასასურათებლად ასახელებს დასავლეთის გუბერნიებში შემოღებულ ერობას და ამბობს:

არა გვგონია ცოტათიც არის რადიკალურად და დემოკრატიულად განწყობილმა ადამიანმა მოინდომოს ზემოდ მოყვანილი ტიპის ერობის ჩვენში შემოღება. ეგ ერობა კი არ იქნება, ეგ იქნება ახალი დაწესებულება ხალხის გადაგვარებისათვის შექმნილი და ხალხის კისერზე წამოსკუპებული, სადაც ყოველივე სიკეთე ერობისა გაუქმებული იქნება, მოხელეთა თვითნებობით და მადის დასაკმაყოფილებლად. სატრფიალო ერობას, სხვაგვარ ერობას, თუგინდ „ზომიერთა“ 1890 წლისას ჩვენ დღევანდელი სათათბირო არ მოგვცემს.

სოციალისტობა გინდ რადიკალობა „ზომიერებს“ სივიჟედ მიაჩნიათ. ყალბი შეცდომაა უნიადაგო შიშისგან შექმნილი. იქ, სადაც სოციალისტები პარლამენტში მოღვაწეობენ ყოველთვის სცდილობენ კომპრომისის გზას დაადგნენ, სადაც ეს მართლაც ხალხისთვის სასარგებლოა და ყოველთვის მხარს აძლევდნენ ხალხისთვის უფრო სასარგებლო კანონმდებლობას. ეს კომპრომისი ხშირად თითქმის საზღვარსაც კი გადადის. ვალდეკ-რუსოს მინისტრობის დროს მთავრობამ საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში სასტიკი ზომები მიიღო გაფიცული მუშების წინააღმდეგ და რამდენიმე მუშა სასიკვდილოთაც კი დასჯა ჯარმა. მემარჯვენეებმა შეკითხვა შეიტანეს იმ განზრახვით, რომ ვალდეკ-რუსოს სამინისტრო ჩამოეგდოთ სოციალისტების და რადიკ.-სოციალისტების წყალობით. ეს მახე კარგად იგრძნეს სოციალისტებმა და თვით ჟორესი გამოვიდა ვალდეკ-რუსოს დასაცავად.

საქართველოს დეპუტატი არა ჰყავსო, ჰგოდებს ბ. ისარი. როგორი დეპუტატი ჰნებავს ბ. ისარს? არა მგონია, ისეთი, რომელზედაც ხელს დაადებენ მისი ახალი „ამხანაგები“. მაგვარი დეპუტატები ხომ მარტო იმას მოუტანდნენ საქართველოს, რაც პოლონელმა დეპუტატებმა მიართვეს თავის სამშობლოს: მართველი წრეებიდან „რუსული ოტკაზი“ და ყინულზე გაცურება, ხოლო რუსეთის დემოკრატიისაგან სიძულვილი და აღშფოთება.

⁂

„ცნობილმა“ ი. მარჯანიძემ ამას წინად „**იმერეთში**“ გრძელი წერილი დასტამბა ჩვენებურ ზომიერ გონიერების და გონიერ ზომიერების საქებ სადიდებლად. ეხლა კიდევ იგივე ავტორი ბრძანებს:

ცხადია, ესფერები ვერ იქნებიან სამართლიანი დამფასებელნი იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც მათ „თვალსა სჭრის და გულსა უკლავს“. ეს როლი ეკუთვნის მკითხველ საზოგადოებას და ამ მხრივ სრულიად დამშვიდებული ვარ, ვინაიდან, ჩემმა „გრძელმა ეპისტოლემ“ სათანადო შთაბეჭდილებაც მოახდინა სიმართლის მოყვარულ მკითხველებზე.

ოჰ, რა ბედნიერი ყოფილა ბ. მარჯანიძე! მაგრამ ნეტავ ვინ არიან ეს „სიმართლის მოყვარე მკითხველები“? ეგებ თვით მარჯანიძეა, ისარი, ტყვია, ვინმე თანამედროვე მგოსანი, ია ეკალაძე და ძმანი მისნი?

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სოფლის მეურნეთა თათბირი მარტყოფში.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მოწვევით ს. მარტყოფში 17-დან 20 აპრილამდე გაიმართება მეურნეთა თათბირი ადგილობრივ მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად და შესაფერ ღონისძიებათა მისაღებად. თათბირის პროგრამა შემდეგია: 1) გარე კახეთში არსებული სასოფლო-სამეურნეო დარგები და მათი ეკონომიური მნიშვნელობა ადგილობრივ ჰავა-ნიადაგის და ტფილისის ბაზართან სიახლოვის მიხედვით, 2) სასმელი და სარწყავი წყლები და ამ წყლების გამოსაყვანი ღონისძიებანი, 3) საკვებ ბალახის თესვა მესაქონლეობის ხელის შესაწყობად და ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად, 4) მესაქონლეობა და მერძეობა, 5) ტყეებისა და საძოვრების გამოყენება, 6) სასოფლო სამეურნეო ამხანაგობებისა და სხვა და სხვა სამრეწველო და საწარმოო დაწესებულების დაარსება. ქართული სამეურნეო საზოგადოება სთხოვს ივრის გამოღმა მხრის ყველა კერძო მეურნესა და სოფლის ამორჩეულ კაცებს, დაესწრნენ ამ თათბირს და გაუზიარონ დამსწრეებს თავ-თავისი ცოდნა-დაკვირვება ადგილობრივი მეურნეობის შესახებ, რათა საქმეში ჩახედულ პირთა საჯარო მსჯელობით შესაძლებელი გახდეს გამორკვევა იმ გზისა, რომელიც შესამჩნევ წარმატებას შესძენს გარე-კახეთის მეურნეობას ახლო მომავალში.

✦ **პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ** მეფის მოადგილის საბ მომავალ სამის წლის ხარჯთაღრიცხვაში 147,801 მან. შეიტანა.

✦ **ქალაქის ლომბარდის** 191 წლის ანგარიშის რევიზია დაასრულ საგანგებო კომისიამ, რომელშ შედიოდნენ ა. ნ. მილოვი, გ. თამამშევი და ი. ი. საათსაზოვი. მისია სარევიზიო აქტში აღნიშნა რომ ლომბარდის ყველა საქმე სიერად და ზედმიწევნითი სისწორი არის ნაწარმოები.

✦ **კახეთის რკინის გზაზე** რო გორც ვწერდით, 7 ბრიგადა კონ დუქტორებისა (ბრიგადაში 5 კაც უკვე მიღებული იყო. ახლა, რო გორც დანამდვილებით გვეგე ორი ბრიგადა კიდევ დაუთხოვნია სხვა და სხვ დანაშაულისათვის. რიგად გზაზე კიდევ მისაღებია ცხ ბრიგადა.

✦ **აღდგომის უქმეების მოა ლოდების გამო** ქალაქის ყველ უბანში გაძლიერებულ იქმნა სანი ნიტარო დათვალიერება. განსაკუ თრებული ყურადღება აქვს მიქცე ლი ბაზრებსა და მოედნებსა, სად სურსათ-სანოვაგეს ჰყიდიან.

✦ **შეიპყრეს მარტყოფის** მცხო ვრები ქიტესა ალექსის ძე ნიტრე შვილი, რომელსაც სხვა დ სხვა მძარ ცველობა და ქურდობა ბრალდებ

✦ **ავჭალის წყალსადენის** თვალიერება შეიძლება მხოლ ქალაქის გამგეობისა, ან ქალაქ მთავარ ინჟინრის ნებართვით.

✦ **ეგზარხოსის ლექციის შემო სავალი.** საქართველოს ეგზარხოსმ ალექსიმ მეფის მოადგილის კანცე ლარიის ღარიბთათვის დასარიგე ლად გაუგზავნა თვის ლექციის შ მოსავალი—730 მან. ფულის დარი გება ზემოხსენებულ კანცელარიაშ ვე მოხდება.

✦ **გრიბოედოვის საზოგადოებ სასარგებლოდ** რუსულ დრამის ა ტრეპრენიორმა პ. გ. ბარატოვმა გ დასწყვიტა, მოკლე ხანში გრიბო დოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“ წა მოადგინოს. შემოსავალის ნახევარ გადაიდება გრიბოედოვის სახელო ბის საზოგადოების სასარგებლო რომელიც ახლა-ხან დაარსდა ეგზარ ხოსის თაოსნობით.

✦ **პოლიტეხნიკუმის** შენობის ს ძირკველის ჩაყრა საბოლოოდ და ნიშნა 27 აპრილისათვის.

✦ **ქალაქის ახალ სასაკლა** კურთხევა დანიშნულია 27 აპრი სათვის.

✦ **ტფ. ბანკები** აღდგომის უქ ბის გამო ხუთშაბათიდან დაიკეტე

✦ **წყალდიდობის გამო** ბორჩ ლოს მაზრის უფროსი ტფ. გუბერ ნატორს სთხოვს, საჩქაროდ მიიღო შესაფერი ღონისძიებანი ს. კუმლო ში, რომლის მცხოვრებთაც წყალ დიდობა დიდს უბედურებას უმზა

# რომელ წყაროს დავეყრდნოთ?

(სტატისტიკური ცნობების შესახებ)

სტატისტიკურ მასალების მიხედვით საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების შესწავლას, ქართველ მოღვაწეებს შორის, ქართული პრესის აღორძინების პირველსავე დღიდან განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული. მაგრამ სტატისტიკა ამ მიზნისათვის, ესე იგი მეცნიერულის დანიშნულებისათვის კი არ იქმნებოდა ჩვენში, არამედ მხოლოდ-ღა მთავრობის ფისკალური ინტერესების მიხედვით. ბიუროკრატია სტატისტიკით ზედმიწევნითი სისრულით არკვევდა ქართველ ხალხის რაოდენობას, მათ მოძრავ ქონების და უძრავ მამულების მდგომარეობას, რომ პირველთა და მეორეთა სათანადო დაბეგვით ხაზინაში მეტი ნივთიერი სახსარი შესულიყო. ამნაირად, სტატისტიკა კანცელიარულ, ტეხნიკურ საშუალებად იქმნა გარდაქცეული და რა თქმა უნდა, ასეთ საშუალებისადმი ხელი მხოლოდ მთავრობას თუ მიუწვდებოდა. და მართლაც, ხალხი, მოღვაწეები... სრულიად მოკლებული იყო ყოველ შემთხვევასაც კი, მთავრობის ხელში არსებულ სტატისტიკური ცნობების გადათვალიერება-გაშინჯვისა. პირველად, საქართველოს შესახები **საგულისხმიერო** სტატისტიკური ცნობათა კრებულები გამოაქვეყნეს ტფილისში 1866—69 წლებიდან სხვა და სხვა სათაურებით, მაგრამ არც ერთი ამ კრებულთაგანი საზოგადოებისათვის და ქართული პრესისათვის მისაწდომი არ იყო. მთავრობის მსხვილი მოხელე—ჩვენი ცხოვრების ქირვარაძით დაინტერესებული—თუ მისწვდებოდა ასეთ კრებულებს და გამოიყენებდა მათ, გარნა ამ მოხელეებში ქართველთა ორგულები მეტი იყვნენ, ვისგამ მოკეთენი და რაღათ უნდა გავიკვირვოთ, რომ ამათ მიერ საქართველოს ცხოვრების არც ერთი მხარე კონკრეტიულის მასალების მიხედვით განხილულ-შესწავლილ არ იქმნა.

დღესაც, როდესაც მისვლა-მოსვლა მსხვილ საგანმანათლებლო ცენტრებში ჩვენი საინტელექტუალო ძალებისა, რამდენადმე გაადვილებულია და აინაირად ყოველ ძველისა და ახალ სტატისტიკურ კრებულების გაშინჯვა სურვილისა და ცოდნის საქმეა და ამავე დროს ამავე წყაროებით სარგებლობა ჩვენი ცხოვრების გაშუქების საქმისათვის დღესაც ფრიად საჭიროა, ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, გათვალწინებული გვქონდეს ის პირობები, მეთოდები და მიზნები, რომელშიაც, რომლის მიხედვით და რისთვისაც იქმნებოდა ჩვენში ხსენებული სტატისტიკური კრებულები. აქი ვსთქვით: ბიუროკრატია სტატისტიკაში დაინტერესებულია იმდენად, რამდენადაც იგი ამართლებს მის ფისკის ინტერესებს; ჩვენთვის კი სტატისტიკა ძვირფასია და საჭირო მეცნიერული მოსაზრებათა გამო. მეცნიერული სტატისტიკა—საზოგადოებრივი ცხოვრების შესახები მოძღვრებაა, იგი მიუდგომელი, სწორი და ულმობელი **კონსტაცია** რეალობისა და სტატისტიკასაც იმდენად აქვს ფასი და მნიშვნელობა, რამდენადაც იგი ამ რეალობას, მისს პროცესს გამოხატავს. ამ თვალთა ხედვით რომ განვიხილავთ ჩვენში და რუსეთში შედგენილ სტატისტიკურ კრებულების ავლა-დიდებას, რომელთაც წარმოება უმთავრესად მთავრობის მოხელეთა საქმეა—ჩვენ აღმოვაჩენთ მასში ძალიან დიდს შეცდომებს, ნაკლულევანებათ და ხშირად სიყალბესაც. მეცნიერული სტატისტიკა კი, რადგანაც იგი ადვილად გვიშლის მთელ სიდიადეს და შინაარს საზოგადოებრივი ცხოვრებისას, და ცხადია აქედან საზოგადოებაც ადგება ასეთს თუ ისეთს საპრაქტიკო პოლიტიკას, ფრიად დიდ მნიშვნელოვანი და პასუხსაგები საგანია და რაღა თქმა უნდა, ყალბ სტატისტიკის მეცნიერულ სტატისტიკად მოხათვალა, მაზე პირაღებით, უკრიტიკოდ დაყრდნობა და საპრაქტიკო პოლიტიკის წარმოება უეჭველად სახიფათოა და უხშირესად ფრიად მავნებელი. ამნაირად, არსებულ სტატისტიკურ კრებულების გამოყენება საჭიროა, პირდაპირ აუცილებელია (უამისოდ შეუძლებელია ნამდვილი და სწორი შეხედულება გვქონდეს ჩვეხი ცხოვრების შესახებ), მაგრამ იგი კრებულები კრიტიკის ქარ-ცეცხლში უნდა გატარდეს, გაირჩეს, გაირკვეს.

ჩვენში არიან მოღვაწენი, რომელნიც თითქოს აფასებენ სტატისტიკის მნიშვნელობას, მაგრამ არსებულ სტატისტიკურ წყაროებს კი, ალაჰმა უწყის რა მოსაზრებით, **პირდაპირ, სრულიად ხელუხლებლად ხტოვებენ.** ხშირად საყვედურობენ კიდეც იმათზე, რომელნიც ამ წყაროებს იყენებენ და მით ნათელს აყენებენ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს. ჩვენ საგანგებოდ იმიტომა ვსწერთ ამ წერილს, რომ აღნუსხული მოსაზრება ყოვლად შეუწყნარებლად და უსუსურად მიგვაჩნია; და ამასთანავე გვსურს მცირე შერჩევით დავასახელოთ ის სტატისტიკურ ცნობათა წყარო, რომელთაც გამოყენება ჩვენი ვინაობა-მდგომარეობის გათვალისწინების საქმეში ფრიად სასარგებლო და მნიშვნელოვანია.

უმთავრესი ნაკლი დღევანდლამდე არსებულ სტატისტიკური გამოკვლევებისა[1]) მდგომარეობს იმაში, რომ სათანადო ცნობების შემკრები და მომცემი არის არა საზოგადოება, არამედ საზოგადოების ფრიად ვიწრო წრეები, წარმოიდგინეთ, მუდმივი და საცნობი კონტინგენტიც კი არა ჰყავთ არსებულ სტატისტიკურ კომიტეტებს, ბიუროებს და დეპარტამენტებს, რომ კონტინგენტიდან თავთავის დროზე საჭირო მასალები იყოს გამოთხოვილი. ასეთ პირობებში კონტინგენტის ცნობიერებაზე, მის მომზადება-გაჩაღებაზე ხომ ოცნებობაც შეუძლებელია.

ამ ჟამად საქართველოში მაგალ. სტატისტიკურ ცნობებს ჰკრებს უმთავრესად სამი ძალა: ცენტრალური კომიტეტი, მიწათმოქმედების სამინისტროს სტატისტიკური განყოფილება (ცენტრალური მთავრობა), საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტები მე-70 წლებში დაარსებულნი (პროვინციალური მთავრობა) და ტფილისში არსებული მთავარი გამგეობა საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა (სტატისტ. ბიურო). პირველი (სამინისტრო) და უკანასკნელი (სამ. საზოგადოება) უფრო საზრიან პრინციპზე არის დაფუძნებულნი.

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკურ ბიუროს გამოცემის, — Сельско-хозяйственный обзоръ по Закавказью“-ს შესახებ არაფერს ვამბობ; არ ვამბობ იმიტომ, რომ ალბად სიფრთხილის გამო—რაიც რამდენადმე მოსაწონია—სტატისტიკური ბიურო შეუძლებლადა სთვლის აღნუსხოს მაგალ. სხვა და სხვა ხორბლეულის საერთო მოსავალი. იგი ნაკლებად სჯერდება, არკვევს თვითეულს დესეტინაზე მოსავლის რაოდენობას დ სხ. ამიტომ ჩვენ მხოლოდ საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტის „Обзоръ“-ებსა დ დასახელებულ სამინისტროს ყოველწლიურ „Сборникъ статистико-экономическихъ свѣдѣній по сельскому хозяйству Россіи и нѣкоторыхъ иностранныхъ государствъ“-ს ვიღებთ და მათ შევადარებთ ერთმანეთს. საილუსტრაციოდ[2]) ავიღოთ ქუთაისის გუბერნიის სიმინდის მოსავლის შესახები ცნობები. სიმინდს კი უდიდესი წილი უჭირავს საქართველოს ხორბლეულობის კულტურაში. ასე, სიმინდი მიუღიათ:

| | საგ. სტატ. კომ. ცნობ. | | სამინ. ცნობ. | |
|---|---|---|---|---|
| წლ. | ფუთ. | | ფუთ. | |
| 1908 | „ 9.637.315 | „ | 8.064.500 | „ |
| 1909 | „ 6.995.907 | „ | 8.989.000 | „ |
| 1910 | „ 9.108.869 | „ | 10.393.600 | „ |
| 1911 | „ 5.512.365 | „ | 10.271.600 | „ |

არც ერთი ცნობა ამ უკანასკნელი დროისა იმერეთის ცხოვრებისათვის სანუგეშო არ არის. მაგრამ სამინისტროს ცნობა, რომელიც უფრო „სახეიროა“ პირდაპირ დაშორებულია სინამდვილეს, სრულიადაც არა ჰგავს ჩვენს ცხოვრებას. ვინ არ იცის, მაგალითად, რომ ჩვენში 1909 და 1911 წლებში მოუსავლობა იყო, რასაც თვით მთავრობის ცნობები გვიმტკიცებენ, მაგრამ ჩვენ მთავრობის სიტყვაზე უფრორე საიმედო მასალი გავარკვევთ, თუ რომელ მხარეზ აქ სიმართლე[3]). ჭეშმარიტებაა, რო როდესაც სოფელს შიმშილი ეწ ნება, იმ წელს ხალხის მყიდველობი თი ძალა (покупательная сила) ეც მა. საქონის მომხმარებლობა ნამდვი ლი გამოხატულებაა სოფლის კ თილდღეობისა და, ამ მხრივ რო გავსინჯავთ საქმის ვითარებას, და ნახავთ შემდეგს: ქუთაისის გუბე ნიაში რკინის გზის სადგურებით შ უტანიათ სხვადასხვა საქონი:

| წლ. | | | ფუ |
|---|---|---|---|
| 1907 | „ | „ | 52.659.755 |
| 1908 | „ | „ | 50.685.608 |
| 1909 | „ | „ | 32.749.825 |
| 1910 | ამ წელში დიდად მეტია | | |
| 1911 | „ | „ | 47.775.554 |

ეს მეტის მეტად საგულისხმო ც ბები აშკარად ამტყუნებენ ცნობ სამინისტროს კრებულისას და პ იქით ამართლებენ საგუბ. სტატ ტიკურ კომიტეტის მასალებს. დესაც მოსავალი მატულობს, მც რებნიც მეტს საქონს იხმარს და პირიქით. ამ მხრით კი საგუბ. კო ტეტის ცნობა შედარებით დვილთან სწორია. მაგრამ ს ნისტროს კრებულის ღირებუ ბას ჩვენ სხვა და სხვა ოფიციალ ანგარიშებითვე შეგვიძლიან კბი გაუსინჯოთ. საგულისხმიეროა უნდა აღნუსხულ იქმნას, რომ თ ოფიციალური დაწესებულებათა ც ბებსაც კი მეტის-მეტ სიჩქარით დება სამინისტროს სტატისტიკ

---

[1]) სხვათა შორის მე 70 წ.წ. ზოგ კრებულებს საგულისხმიერო კრიტიკაც თან ახლავს კრებულში მოთავსებულს მასალებს, რაიცა კარგად ხსნის მის სიდიადეს. თ. დ.

[2]) ხსენებული კრებული შემუშავებულია ახალ გეგმის მიხედვით. პირველი ტომი პეტერბურგში გამოვიდა 1907 წელში. ამ დროს შემდეგ გამოვიდა სულ შვიდი დიდი ტომი. მე-7—1914 წლის თავში უკვე გამოვიდა პეტერბურგში. თ. დ.

[3]. დღეს ყველამ იცის, რომ 1913 წელ მოუსავლობა გვეწვია. ყველამ იწამა ე რემოება ფაქტად, მთავრობამ ასი ათა ბით ხარჯავს დამშეულებზე, ხოლო ს ნისტროს ცნობა, როგორც „სახალხო უკვე აღვნუსხე თავის დროზე, შიმშილ ცნობას სრულიად არ ეთანხმება. რეალ კონცეპციაც ამასა ჰქვიან! თ.

[4]) კონკრეტიული ცნობები ხელთ არ მ

დებს. როგორც მაზრის უფროსი სწერს, მტკვარი დღითი-დღე შესამჩნევად მატულობს, გამოდის ნაპირებიდან და მთელს სოფელს წალეკავს უქადის. 11 მიწის გომური წყალს უკვე ამოუვსია. შეშინებული სოფლელნი საჩქაროდ ანგრევენ თავის სახლებს, რათა წყალმა არ მოსტაცოს.

◆ **კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის** აქციების შეძენის მსურველთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. საორგანიზაციო კომიტეტს 500,000 მან. აქციის შეძენის სურვილი განუცხადა ქუთათურ ვაჭართა ერთმა ჯგუფმა, რომელმაც უკვე მოაწერა ხელი აქციებს.

◆ **სამეცნიერო გამოკვლევა.** სამეცნიერო აკადემია წელს კავკასიაში ჰგზავნის სამეცნიერო გამოკვლევისათვის დონის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სამინერალოგიო კაბინეთის ასისენტს ალექსანდრე ანტონის ძეს თვალჭრელიძეს.

◆ **შუამდგომლობა რკინის გზის გაყვანის შესახებ.** ოზურგეთის მაზ. მარშალმა თ-დმა კ. დ. ერისთავმა მეფის მოადგილის წინაშე საყურადღებო შუამდგომლობა აღძრა. მარშალი შუამდგომლობს, რათა რკინის გზა გაყვანილ იქმნას ოზურგეთის მაზრის იმ რაიონში, რომელიც უფრო მჭიდროდ არის დასახლებული, სახელდობრ სადგურ საჯევახოდან (ბათომის შტო) ჩოხატაურითა და ნაგომარით ოზურგეთამდე, ხოლო ოზურგეთიდან გაყვანილ იქმნას შტო სადგურ ნატანებამდე. შუამდგომლობას მარშალი შემდეგის მოსაზრებით ასაბუთებს: ბათომის ახლანდელი შტო გადის ოზურგეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაპირზე, ისეთ ადგილას, რომელიც კარგად არ არის დასახლებული და სრულიად არ ემსახურება მჭიდროდ დასახლებულ რაიონს, საიდანაც მრავალი რამ არის გასატანი: ტყე, თამბაქო, აბრეშუმის პარკი, თაფლი, სიმინდი და სხვა. შტო ჩამოშორებულია სახაზინო ტყეებსაც, რომელიც 36,000 დესეტინას შეიცავს. ამას გარდა თ-დი ერისთავი აღნიშნავს მშვენიერ საგარაკო ადგილს „ბახმარო“-ს, რომელსაც ახალი გზა 10—15 ვერსით დაუახლოვდება სახაზინო ტყეებსაც, საიდანაც დღეს მასალა ვერ გამოაქვთ. შუამდგომლობასთან ერთად მარშალმა მეფის მოადგილეს წარუდგინა განაჩენი 11 სასოფლო საზოგადოებისა, რომელნიც კისრულობენ მომავალ გზისთვის უფასოდ საჭირო მიწების დათმობას. როგორც გავიგეთ, ამ შუამდგომლობას კანონიერი მსვლელობა მიეცემა.

◆ **კახეთის რკინის გზაზე** რელსები დაგებულია კაკრეთამდე. 15 აპრილამდე გზა ჩალაუბნამდე მივა, ხოლო მაისისთვის გურჯაანამდე. დიდრონი ხიდები და რკინის გზები ველისციხესა და ჩუმლაყის ხეობაზე 15 აპრილისთვის დასრულდება.

◆ **ქალაქის ლომბარდი** მელიქ-აზარიანცის შენობაში მაისისთვის გადავა.

◆ **დამატებითი მატარებლები.** ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით ტფილის-მცხეთას შუა სასიარულოდ მოუმატეს მატარებლები № 65, 66, 67 და 68. აპრილის 2, 12 და 13-ისათვის. ხოლო 3 აპრილისათვის კი ტფილის-ქსანკას შუა ტფილისიდან მატარებელი № 65 გავა დილის 10 ს. 20 წ. № 67—ნაშუადღ. 3 ს. 43 წ. მცხეთიდან გამოვა № 66 ნაშუადღ. 1 ს. 50 წ. ქსანკიდან—ნაშუადღ. 1 ს. 17 წ. მცხეთიდან მატ. № 68 გამოვა საღამოს. 6. ს. 31 წ. დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი: „ნემესიოს ემესელი. ბუნებისათვის კაცისა. ბერძნულითგან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ“. წიგნი გამოცემულია საეკლესიო მუზეუმის მიერ ს. გორგაძის რედაქციით გამოცემას დართული აქვს ვრცელი წინასიტყვაობა რედაქტორის, შენიშვნები და ლექსიკონი. წიგნი შეიცავს LVI+240 გვ. და ღირს 2 მან.

◆ **ქველმოქმედთა საყურადღებოდ.** ქველმოქმედთა ყურადღებას მივაქცევთ მეტად ღარიბს და გაჭირვებულს ადამიანს **ლუარსაბ ბაქრაძეს**, რომელიც სცხოვრობს ნაძალადევში ყუბახის ქუჩაზე № 9. ბაქრაძე ავად არის ქარებით, ძლივს დადის და გარდა ამისა შესანახავი ჰყავს კუტი ცოლი და ოთხი ბავშვი. საცხოვრებელი კი არა აბადია. შემოწირულება შეიძლება გაიგზავნოს პირდაპირ ლუარსაბ ბაქრაძის ბინაზე ნაძალადევში, ზემოხსენებულის მისამართით.

### ქუთაისი

◆ ხმებია, რომ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი მაკაროვი ბაქოს ვიცე-გუბერნატორად გადაჰყავთ და მის ადგილზე ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად სოხუმის ოლქის უფროსი ინიშნებაო.

### ჭიათურა

◆ 29 მარტს დასრულდა ჭიათურის დრამატიული საზოგადოების კრება. გამგეობის წევრებად აირჩიეს: პ. ღათებოვი, ნ. წუწუნავა, პლ. ლეჟავა, კ. კოკაია, გ. ცამაძე, ი. გომელაური და ვ. წერეთელი.

◆ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადო კრებამ გადასწყვიტა ჭიათურაში ახალი შენობა აეშენოს ტეხნიკური კანტორისათვის. საბჭოს ტეხნიკოსს უკვე შეუდგენია გეგმა. შენობის აგებას 80 ათასი მანეთი სჭირდება.

### ფოთი.

◆ ნიკო ნიკოლაძე ამ ჟამად თავს კარგად გრძნობს.

# სალამი!

სალამს გიძღვნი, გაზაფხულო,
შენ გედი ხარ დასაკოცნი,
შენ ხარ სატრფოს ნაზი თრთოლა,
შენ ხარ მეხი განატყორცნი!
სალამს გიძღვნი, თვალ ჟუჟუნა,
შე გულმაგო, ტყის პეპელა,
ღამე მთვარის მკლავზე გძინავს,
დილით ვარდს ჰშლი ნელა, ნელა...
სალამს გიძღვნი, გაზაფხულო,
გუ-გუ! გუ-გუ! ტია-ტია!
სიმი შენზე გადავჭიმე
ჩანგზე ვეღარ დაეტია!
სალამს გიძღვნი და ერთსა გთხოვ:
შენ შემდგომათ გაზაფხულებს
ეს სალამი გადაეცი,
იმ ლამაზებს, იმ ქალწულებს;
დე რიგ-რიგად, ყოველ წლობით
ბილილების თმა გაშალონ,
და კოკორი—ორათ ორი—
თავის მკერდზედაც არ დამალონ.
მოვიდნენ და ჩემ საფლავზე
თვისი ჩანგი ააჟღერონ,
ყვავილები დაჰკრან სიმებს,
თან სალამი დაამღერონ!

ქ. სოხუმი.

ი. ევდოშვილი.

### სიღნაღი

◆ **შეიარაღებული შეტაკება** მოუხდათ ამ დღეებში ეგრედ წოდებულ „კაიბანში“ საპოლიციო დარაჯებსა და ოთხს ყაჩაღს. უკანასკნელნი ტყეში დაიმალნენ. სროლა უშედეგო იყო.

### ბორჩალო.

◆ **მკვლელობა.** ს. შინიხში ყაზარ მაშიკოვმა ზერდანის თოფით მოჰკლა არუთინ აზარიანცი.

### ქიზიყი

◆ 16 მარტს, ს. ქვემო-მაჩხაანში მოხდა მამასახლისის და სოფლის მოსამართლეთა არჩევნები. მამასახლისად ფარულის კენჭის ყრით აირჩიეს გლეხი ბასიკო გიორგის ძე მაძღარაშვილი, მის კანდიდატად ილია მახარობლიშვილი.

◆ მარტმა ისევ სიცხეები დაიჭირა. მწვანედ აბიბინებულ მინდორს წვიმა ეჭირვება. შეჩერდა ბალახისა და ჯეჯილის ზრდა. ხალხი დაღონებულია. წვიმა, რომ მოსულიყო ბალახი მაინც წამოიზრდებოდა და უსაქმელობით შეწუხებული და გაძვალტყავებული ცხვარი და საქონელი სულს მოითქვამდა. შენახული საკვები არავის არ მოეპოვება. შარშანდელი გვალვიანი და მოუსავლიანი წელიწადისა გამო—საშინელი სიძვირეა ყველაფრისა.

◆ სოფ. ბოდბისხევში, ქიზიყში, დაარსდა **მომხმარებელი საზოგადოება „ნდობა“** და დაიწყო უკვე მოქმედება.

◆ **წყლის გაყვანა.** სოფ. ბოდბისხევის საზოგადოებას გადაუწყვეტია წყალი გაიყვანოს სოფლიდან კალოუბზე, 3½ ვერსის მანძილზე. საზოგადოებას ამ საქმისათვის საკმარისი ფული აქვს გადადებული. აქ ქამად საზოგადოების რწმუნებულები ეძებენ წყლის გამყვანს; მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სოფ. ბოდბისხევში შაქრო და გიგო ნაცვლიშვილებს.

### სოფლად.

◆ **ს. მღვიმევი. არჩილ ჯორჯაძის** გარდაცვალების წლის თავზე პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო. ერთმა თანამგრძნობთაგანმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა.

◆ **ს. ობჩა.** კვირას, 30 მარტს, **არ. ჯორჯაძის** სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო. მღვდელმა ღიბრაძემ მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას.

◆ **მცხეთა.** ივანე კოტორიძემ ქვით მძიმედ დააშავა გაბრიელ წიკლაური.

◆ **სოფ. პატარძეულის** საკრედიტო ამხანაგობა გადაკეთდა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობად.

## ტფ. ქალაქის საბჭო

### 31 მარტის კრება.

კრება იწყება საღამოს რვა ნახევარ საათზე ქალაქის მოურავის მოადგილის **თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის** თავმჯდომარეობით.

წარსულ კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ **თავმჯდომარე** პასუხს აძლევს ხმოსან კეილს წინა კრებაზე შეტანილ შეკითხვაზე: ინჟინერს მირზოევს დიდის მთავრისა და მიხეილის ქუჩის მოკირწყვლის ვადა არ გასთავებია. მასთან ხელშეკრულობა დადებულ იქმნა 1912 წლის 16 ოქტომბერს. ქუჩების მოკირწყვლის ვადად მიეცა 12 სამუშაო თვე. ქალაქის გამგეობა მაშინვე შეეცადა გამოერკვია, თუ წელიწადში რამდენი თვე უნდა ჩაითვალოს სამუშაო თვედ, მაგრამ ამას მირზოევი წინააღუდგა. ჩვენც იძულებული ვიყავით მირზოევისთვის დაგვეთმო, რადგან ამ 100.000 მან. სამუშაოს აღების მსურველი არავინ იყო, გარდა მირზოევისა, რომელსაც ეს ფული ნაწილ-ნაწილად უნდა მივცეთ ათის წლის განმავლობაში. ახლა ჩვენმა ინჟინერმა განმარტა, რომ წელიწადში 6 თვე უნდა ჩაითვალოს სამუშაო თვედაო. ამიტომ ინჟინერი მირზოევი მოვალეა, მუშაობა დაასრულოს მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს.

გამგეობის წევრი **გ. დ. ჟურული** კეილისავე შეკითხვის პასუხად საბჭოს შემდეგს აცნობებს: ქალაქი ქუჩების გასანათებლად 12 კერძო საელექტრონო სადგურისაგან იღებს ენერგიას. მეცამეტე სადგური თვით ქალაქისაა. ეს განათება ქალაქს წელიწადში 132,872 მან. უჯდება. ქალაქს ჰყავს სამი სპეციალისტი, რომელნიც ქალაქის განათებას მეთვალყურეობენ. როდესაც ისინი სადმე დეფექტს ამჩნევენ, საელექტრონო სადგურის პატრონს ვაჯარიმებთ. ასეთ შემთხვევაში საჭირო ღონისძიებად მხოლოდ ჯარიმები გვაქვს.

**თავმჯდომარე.** წინა კრებაზე ხმოსანი სულაბერიძე შეგვეკითხა, ვინ აგებს შენობას მტკვრის ნაპირზე, ავლაბრის ხიდთანაო. შენობას აგებს ხმ. ნუნუფაროვი, რომელსაც ის ადგილი ეკუთვნის და რომელსაც შესაფერი გეგმა და ნებართვა უკვე აქვს.

**ხმ. ბაბოვი.** 1) რა მდგომარეობაშია პოლიტეხნიკუმთან მისასვლელი გზის საქმე, 2) როდის დაიწყება შიოლევისეულ ადგილზე „კრუჟოკ“-ის შენობის აგება და 3) მართალია თუ არა გაზეთ „კავკაზ“-ში მოთავსებული ცნობა, რომ საიჯარო განყოფილებაში 64 მან. საგერბო ქაღალდები დაიკარგაო.

**თავმჯდომარე.** 1) პოლიტეხნიკუმთან მისასვლელ გზის გაყვანის საქმის გამო შესაფერი შუამდგომლობა აღვძარით. კახეთის გზატკეცილს აუშენებენ, ამიტომ სამხედრო უწყებას, რომელსაც ნავთლუღში ადგილი აქვს, ვთხოვეთ სხვა გზის გასაყვანად თავისი მიწები დაგვითმოს საჭირო ალაგას; 2) „კრუჟოკ“-ის შენობის დაწვრილებითი გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა საბოლოოდ შეადგინა ინჟინერმა ჩისლიევმა. ეხლა იგი უნდა განიხილოს ქალაქის სატეხნიკო კომისიამ, რომლის თავმჯდომარეც ვეღარსად ვიპოვე, რომ კომისიის კრება მოვაწვევინო ამ საქმისთვის და 3) საიჯარო განყოფილებაში ქაღალდები მართლა დაიკარგა და არც ვიცით, როგორ მოხდა ეს. ქაღალდები ებარა ერთს მოსამსახურეს, რომელიც ტფილისში არ არის. მას სასამართლოს წესით შესაფერ პასუხს მოვსთხოვთ.

ამის შემდეგ საბჭო ადგენს, აბესალომოვის სახელობის **სტიპენდია** დაუნიშნოს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიკო ფაკულტეტის სტუდენტს გიორგი სოლომონის ძე ადელხანოვს, თანახმად ქალაქის გამგეობის წინადადებისა.

საბჭო ამტკიცებს ეტლის დამატებით ნიხრს, რომლითაც ქალაქიდან ნავთლუღის სადგურამდე 80 კ. დაწესდა, ხოლო ავლაბრიდან ამ სადგურამდე 50 კ.

განსახილველია საკითხი სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა **წესიერ დასვენების** სავალდებულო დადგენილებათა შევსების შესახებ. **ხმ. მილოვის** წინადადებით ეს საკითხი ყოველმხრივ გამოსარკვევად გადაეცა იმ საგანგებო კომისიას, რომელმაც შეიმუშავა წესიერი დასვენების დადგენილებანი.

ხანგრძლივ კამათს იწვევს საკითხი თ-დ ბებუთოვების მიწების (ვაკეში) მოწესრიგების შესახებ.

საბჭო დასასრულ ადგენს, ვიდრე ამ მიწების გამგეობის პასუხს დაამტკიცებდნენ, დაავალოს გამგეობას გამოარკვიოს ყველა ის ხარჯი, რომელიც ქალაქს მოუვა ამ ადგილებზე.

## პატარა ფელეტონი

## უცხოელი

**შარლ ბოდლერისა.**

— ვინ უფრო გიყვარს, მითხარ, უცხოელო? მამა, დედა, და თუ ძმა?

— მე არა მყავს არც მამა, არც დედა, არც და, არც ძმა.

— მეგობრები?

— ამ სიტყვის მნიშვნელობა ჩემთვის აქამდის გაუგებარია.

— სამშობლო?

— არ ვიცი, სად არის.

— სილამაზე?

— მეყვარება, რომ ღვთიური და უკვდავი იყოს.

— ოქრო?

— მძულს, როგორც თქვენა გძულთ ღმერთი.

— მაშ, რაღა გიყვარს, საკვირველო უცხოელო?

— მიყვარს ღრუბლები... მიმცურავი ღრუბლები... ცის წიაღში მშვენიერი ღრუბლები!

## ალ. ყაზბეგის საღამო ოდესაში

აქაურ სტუდენტობაში დიდი ხანია დაიბადა აზრი, რითიმე აღენიშნათ გასული წლის 10 დეკემბერს შესრულებული ოცი წლის თავი ჩვენი საუკეთესო ბელეტრისტ-რომანისტის ალ. ყაზბეგის გარდაცვალებიდან. სამწუხაროდ ამ აზრს განხორციელება მხოლოდ ეხლა, 23 მარტს, ეღირსა. ოდესის პოლონელთა კლუბი „ოგნისკო“-ში გაიმართა პატარა საღამო. დასდგეს განსვენებული მწერლის „არსენა“.

წარმოდგენის დაწყებამდე სტ. კლ. ტყემალაძემ ორიოდე სიტყვით აღნიშნა დღესასწაული და დასძინა: ამ დღეებში შესრულდა ერთი წელიწადი საუკეთესო მამულიშვილის არჩ. ჯორჯაძის გარდაცვალებიდან, რომელსაც თავის მიდრეკილებით ენათესავება ალ. ყაზბეგი; გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მის ხსოვნასაო. წინადადება შესრულებულ იქმნა. ამის შემდეგ მოკლე და ლამაზი სიტყვა წარმოსთქვა რუსულად პრივ.-დოც. ს. ავალიანმა. განზრახული იყო წინადვე ალ. ყაზბეგის შესახებ ორი რეფერატი წაკითხულიყო ქართულად. ყველაფერი გამზადებულიც იყო, მაგრამ აქაურმა ქალაქის უფროსმა ქართულად წაკითხვის ნება არ დაგვრთო. ხალხს ბ. ავალიანის განმარტება ძლიერ მოეწონა. იყო აგრეთვე სტუდენტთა ქართულ ხორო სტ. აფხაიძისა, რომელმაც რამდენიმე სიმღერა შეასრულა ალ. ყაზბეგის სურათთან, დროის შესაფერი.

შემდეგ დასდგეს „არსენა“. უნდა ითქვას, გარეგნად იგი კარგად იყო დადგმული და რეჟისორის ხელიც ეტყობოდა, განსაკუთრებით დეკორაციებს. ამ მხრით მადლობის ღირსია გ. კუპრაშვილი, რომელსაც სარეჟისორო საქმე ებარა. კარგები იყვნენ: ალ. იმერლიშვილი (არსენა), ა. ბახტაძე (ნინო), თ. კურდღელაშვილი (ელისაბედი). ბევრი აცინა საზოგადოება თავის ნიჭიერი თამაშით ს. მალაკიშვილმა (მოურავი და სირაჯი).

ხალხი ბევრი დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. წარმოდგენის დღეს აქაურ გაზეთებში წერილები იყო ალ. ყაზბეგის შესახებ და სურათიც დაიბეჭდა.

## მუშათა ცხოვრება

ჩვენში.

### ტფ. ტრამვაის მუშების სამართალში მიცემა.

ტფილისის ტრამვაის მუშათა გაფიცვის გამო სამართალში მისცეს 9 კაცი: ანდრია პინეევი, ალექსანდრე ზორინი, მიტროფანე სკოგორევი, თევდორე სკოგორევი, ბინიატოვი, საფონოვი, ფონოვი, შევჩუკი, დუბიკოვი. ესენი სამართალში არიან მიცემულნი 1359 მუხლის მესამე ნაწილის ძალით და ჰბრალდებათ ტრამვაის მოსამსახურეთა მოწოდება გაფიცვისადმი, წაქეზება, ძალდატანება და აგიტაცია, რასაც მოჰყვა გაფიცვა და მცხოვრებთა დაზარალება. მათი საქმე გაირჩევა 16 მაისს ტფილისის საოლქო სასამართლოში. ბრალდებულის მიერ დაბარებულია 17 მოწმე, დამცველთა მხრივ 20 კაცი. ბრალდებულებს იცავს ნაფიცი ვექილი ბროდსკი.

### საქონლის სადგურის მუშათა გაფიცვის გამო.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ჩემს წერილს და მომცეთ ამით საშუალება პასუხი გავსცე ბ. ნაცნობს (ჩემთვის კი უცნობს).

ბ. ნაცნობი „ფიქრი“-ს 22 ნომერში ათავსებს წერილს ტფილისის რკინის გზის სადგურის მუშათა გაფიცვის შესახებ და ამასთან ერთად აღნიშნავს შემდეგს (რაც ძლიერ საწყენად დარჩენია): „გაფიცულთა შორის ურევია ერთი უფროსი მუშა თანამოაზრე ჩვენი „მამულიშვილებისა“. ეს ვაჟბატონი არავითარ საშუალებას არ ჰზოგავს, რომ ეს თუ ის მუშა, თუნდა ძალით, შეათრიოს მამულიშვილთა თავშესაფარში“. შემდეგ განაგრძობს: „მამულიშვილების მუშა გაფიცულ მუშების სახელით დაბრძანდება და ასე გასინჯეთ აფერისტ-გელოვანთანაც კი აფრინეს დეპეშა“. ბ. ნაცნობი ბოლოს დასძენს: „ჩვენ ვალდებული გვაქვს გამოვაცხადოთ, რომ გაფიცულ მუშებს არავისთვის არ დაუვალებია მამულიშვილებთან ყიალი. თუ რამდენად საკადრისია ასეთი საქციელი და რამდენად ამით კმაყოფილნი არიან მუშები, ამაზე შემდეგ.“ აი ამ სახით აბოლოვებს თავის წერილს ბ. ნაცნობი. არაფერს ვიტყვი იმაზე თუ რამდენად არა საკადრისი და არა პატიოსნური ელფერი გადაჰკრავს ამ წერილს, მხოლოდ შევეკითხები ბ. ნაცნობს: მართლა იგი გაცნობილია ამ მუშების გაფიცვასთან თუ არა? იცის ნამდვილად ამ მუშების წადილი, სად უფრო აფარებენ თავს და მომავალში შეაფარებენ?

კარგი იქნებოდა ამ ორ კითხვაზე მიპასუხებდეს და პასუხს შემდეგში უფრო ვრცლად მიიღებს.

რაც შეეხება ბ. ნაცნობის პირადულ მტკიცებას, რომ „მამულიშვილი“ მუშა თავის-თავად დარბოდეს მუშების სახელით, აქ ნაცნობზე ვერ ეტყობა. სულ მტკნარად რომ ვსთქვა, ნაცნობი განზრახ სიყალბეს სჩადის. იგი რომ საქმის ვითარებას იცნობდეს და ტყუილებით არა ჰსურდეს ლელოს გატანა, ეცოდინება, რომ „თავის ნებით“ იქ არავინ იქცევა. ნაცნობი რიხიანად აცხადებს, მუშებისაგანა მაქვს დავალებული გამოვაცხადო, რომ ყველა ეს სიყალბეა და „მამულიშვილისთვის“ არაფერი დაუ-

---

იაც პროვინციის შედარებით უმნიშვნელო მცოდნე მოხელენი პედანტობასაც კი იჩენენ. როგორც საგუბერნიო ისე სამინისტროს სტატისტ. ბიუროები მრავალ სპეციალური ხასიათის კულტურის შესახებ ცნობებს პირდაპირ მზა-მზარეულად იღებენ სხვა ოფიციალურ ახგარიშებიდან და ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ სინიდისიერად გადმოღება ციფრებისა. თამბაქოსა და სხვ. შესახებ მაგალ., ცნობებს იძლევა: „Обзоръ отраслей промышленности, служащихъ предметомъ косвеннаго обложенія и положенія акцизнаго дѣла въ Закавказскомъ краѣ“. აქედან ვხედავთ, რომ პლანტაციების რაოდენობა უდრიდა 1907 წ. [5])

| | |
|---|---|
| საქც. მართვ. ცნობით | 5,227 დეს. |
| საგუბერ. სტატ. კომიტ. | 5,227 „ |
| სამინისტროს . . . | 5,227 „ |

აქ საქციზოს ცნობა ორთავე დაწესებულებას სისწორით გადმოუღია, მაგრამ მრავალს სხვა შემთხვევაში ასეთი სისწორე უბრალო გადმოწერაში არ არის დაცული. და საინტერესოა, როდესაც განსხვავებანი ჩნდება, თითქმის მუდამ სისწორეს საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტი იჩენს. ავიღოთ მაგალ. წვრილი საკრედიტო დაწესებულებათა შესახები ცნობები; შემნახ.-გამსესხ. ამხ. რაოდენობა უდრიდა:

| საგ. კომიტ.— | 1908 წ. | 1909 წ. | 1911 წ. |
|---|---|---|---|
| ცნობით . . | 19 | 21 | 19 |
| სამინისტროს | 16 | 15 | 17 |

საგუბერნიო ცნობაში არ არის ნაჩვენები მაგალითად (გარკვევით) სესხით ამხანაგობანი (кредитыя товарищества—რაიფაიზენი), სამინისტროს ცნობაში სესხის ამხანაგობანი ცალკეა მოყვანილი (ფრიად სასურველია ასეთი კლასიფიკაციის დაცვა, რასაც საგუბ. კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს) და ამიტომ მათ შესახები ცნობა რომ მიუმატოთ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა რიცხვს, გამოვა შემდეგი:

| | |
|---|---|
| 1908 წელში— | 18 |
| 1909 „ | 20 |
| 1911 „ | 26 |

აქაც უსრულოა სამინისტროს ცნობა, უადრესად ყალბი, ვინაიდან ამ შემთხვევაში გაცილებით ავტორიტეტიანი „Отчетъ по мелкому кредиту“-ს ცნობა საგუბ. სტატის. კომ. ცნობებს ეგუებიან წინააღმდეგ სამინისტროს კრებულისა.

სამინისტროს ცნობა შედარებით ყალბი არის აგრეთვე მევენახეობის საქმეშიაც, თუმცა ამ შემთხვევაშიც სამინისტროს ბიუროს ადვილად შეეძლო სათანადო ცნობები მიეღო საქციზო სამართველოდან, რომელიც ამ დარგში გაცილებით მეტი ნდობის ღირსია. ცნობებს თუ დააკვირდებით, მიხვდებით რამდენადმე, რომ საქციზო სამართველოდან სამინისტროს ბიუროს კიდეც უნდა ჰქონდეს იგი ცნობები მიღებული, მაგრამ ისინი სხვა და სხვა გაუგებარ მოსაზრებათა მიხედვით შეუცვლია. ამ შემთხვევაში, აღვნიშნავთ, რომ საქციზო, საგუბერნიო, სასოფლო-სამეურნეო (და კალენდარი) ერთად არიან, წინააღმდეგ სამინისტროს კრებულისა. ასე:

1910 წ.

| | დესეტინა ვენახი ქუთაისში | ტფილისში |
|---|---|---|
| საქც.-საგუბ.-სას.-სამ.-კალ. ცნობით | 19.889 | 21.529 |
| სამინისტროს სტატისტ. ბიუროს ცნ. | 28.211 | 19.558 |

უბრალო დაკვირვებაც საკმაოა, რომ კომენტარიებით არ ავაჭრელოთ ეს მცირე შენიშვნა, თუ რამდენად უთავბოლოა და სინამდვილესთან დაშორებული სამინისტროს კრებულის ცნობა. ამათ გარდა ჩვენ მრავალი ცნობების მოყვანა შეგვეძლო სამინისტროს კრებულის გასაწბილებლად, მაგრამ ჩვენი საზოგადოებისა და მიზნებისათვის ესეც საკმაოა. „კავკასიის კალენდარშიაც“ ხშირად ვხვდებით ანალოგიურს შეცდომებს და ამიტომ საჭიროა ამ წყაროს მეტის სიფრთხილით გამოყენება.

ჩვენი სტატიიდან მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ჩვენ სრულიად არ გვაკმაყოფილებს არსებული სტატისტიკური გამოცემანი—რაიცა არა ერთხელ აღვინიშნავს „სახალხო გაზეთის“-ს ფურცლებზე, მაგრამ სწორედ მიუტევებელ ცოდოს ჩავიდენდით ეგ წყაროები სრულიად უყურადღებოდ მიგვეტოვებინა. პირველ ყოვლისა საჭიროა ერსა და იმავე დროს რამდენიმე სხვა და სხვა სტატისტიკურ წყაროების აღება და მათი კრიტიკულის განხილვით გამოყენება იმ ცნობის, რომელიც უფრო გაამართლებს როგორც მეცნიერულს-სოციოლოგიურს მოსაზრეიათ, ისე არა პირდაპირ ხასიათის სტატისტიკურ ცნობებს, როგორც მეთვალყურეთა შენიშვნებს, მგზავრთა შთაბეჭდილებათ, ერთის ხმას, საზოგადოებათა ზომებს და სხვა და სხვა. არსებულ წყაროებში კი ჩვენ საგუბერნიო სტატისტიკურ კომიტეტის ცნობა მიგვაჩნია უმჯობესად; შიგ მრავალი ცნობებია მოთავსებული ჩვენი ქვეყნის შესახებ... ისიც უნდა ვსთქვათ, რომ კომიტეტი ადგილობრივ რომ მოღვაწეობს რამდენადმე ადვილად განიცდის სინამდვილის გავლენას და რადგან ამავე დროს დამყარებულია ერთსა და იმავე წესით მომუშავე კონტინგენტზე ეს გარემოება, ყოველ სიდუხჭირის მიუხედავად, მაინც შესაძლებლად ჰხდის მის გამოყენებას სოციოლოგიური ხასიათის დასკვნა-შეხედულებათა შესამუშავებლად...

**თევდორე ღლონტი.**

---

[5] საქციზო სამართველოს ანგარიში, გვ. 155, 1912 წ.

ვალდებიათო. არ შეიძლება მიპასუხებდეს ნაცნობი, ვინ მუშებმა დაავალა, ან რამდენი კაცი იყო? ეჭვიც მეპარება, შეიძლება ერთი ან ორი პირი ბრძანდებოდა ეს დამვალებელი, მაგრამ რა გააკეთეს მუშებისათვის ამათ ამას შემდეგ დავუმტკიცებთ. გვპირდებით, ამ საქმის ბოლომდის მივყვებითო. სიამოვნებით. მხოლოდ ასევ ფიქრობთ, რომ თქვენ გვედავთ და ჩემს კითხვებს პასუხს გასცემთ, მგონი დიდი კამათი არ დასჭირდება ამ საქმეს და მალე გამოვიკვლევთ, რომელი ია ჩვენში მართალი და მტყუანი. იმედია, პასუხს არ დააგვიანებთ და თქვენს უსაფუძვლო ლაპარაკს ბოლოს მოუღებთ. **იხ.**

### რუსეთში.

**პეტერბურგი.** (დეპეშა). ბალტიის მექანიკურ გემთსაშენ ქარხანაში მუშაობა განახლდა.

**ხერსონი.** კრივოი როგში ბრიანსკის საზოგადოების მაღაროებში ჭერი ჩამოწვა. სამი მუშა მოიტანა და მოჰკლა.

**მუშების დათხოვნა.** მკითხველებმა იციან, რომ „ტრეუგოლნიკის“ ქარხანაში მუშები მოიწამლნენ, რის გამოც მათ მუშაობას დროებით თავი დაანებეს. 27 მარტს მექარხნეებმა დაითხოვეს მუშები და გამოუცხადეს, მოდით, ყველას ანგარიშს გაგისწორდებით. ამ განცხადებამ დიდი კამათი გამოიწვია მუშებში, თუმცა პოლიცია „ტრეუგოლნიკის“ ირგვლივ ბლომად იყო, მაგრამ მუშები მაინც ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ ქარხანასთან, რომ გადაეწყვიტათ, მიეღოთ ეხლავე ანგარიში, თუ არა. რადგანაც ამ ბოლო ხანს ისინი არა მუშაობდნენ, და მათში ბევრი იყო იმისთანა, რომელიც ძალიან გაჭირვებას განიცდიდა, ამიტომ ხმის უმრავლესობით გადასწყდა გამოერთვათ ადმინისტრაციისთვის ფული და ანგარიშს გასწორებდნენ. თუ ადმინისტრაცია უკანვე არ მიიღებდა იმ მუშებს, რომლებიც მასსიურ ავადმყოფთა რაცხვში მოხვდნენ, გადასწყვიტეს ადმინისტრაციას ეკონომიური მოთხოვნილება წარუდგინონ.

პოლიციას ჯერ უნდოდა მუშები გაეფანტა, მაგრამ რადგანაც მშვიდობიანად იდგნენ, თავი დაანება. მუშებს ანგარიში გაუსწორეს 27 მარტამდის და საანგარიშო წიგნებში ჩაუწერეს, რომ ხელშეკრულობა 27 მარტიდგან გაუქმებულია კანონის მერვე მუხლს 107 ძალითაო. ეს მუხლი კი ამბობს, რომ ხელშეკრულობა შეიძლება გაუქმდეს რაიმე სტიქიური უბედურების გამო, როგორც, მაგალითად, ცეცხლისა, წყლისა, აფეთქებისა დ სხვა ამ გვარი. ამ გვარად მასიური მოწამლვა ადმინისტრაციამ დაუქვემდებარა სტიქიურ უბედურობას, რაც, იურისტების აზრით, უფლებას აძლევს შემდეგი ორი კვირის ქირა არ მისცეს. ამავე დღეს მუშებმა რჩევა ჰკითხეს იურისტებს, რომლებმაც გამოსთქვეს ის აზრი, რომ რადგანაც მასიური მოწამლვა ქარხნის გამგეობის ბრალია, ურჩიეს მუშებს, უჩივლეთ, ორი კვირის ხელფასი მოგცენო. ამის გარდა, ბევრი იმათგანი, ვინც ავად გახდა, უჩივიან შრომის უნარის დაკარგვას. ნაშუადღევის სამი საათისთვის ყველა ანგარიში გაათავეს მუშებთან. 12,000 მუშა სრულიად უადგილოდ დარჩა.

როგორც ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებამ გამოარკვია, ქარხანა მალე გაიხსნება, მაგრ ყველა ამ მუშებს კი აღარ მიიღებენ. აზრადა აქვთ მათი რიცხვი შეამცირონ, იმ მოსაზრებით, რომ ზაფხულობით ნაკლები სამუშაოაო. ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაჟინებით ამბობენ, რომ მუშები აქ მსხვერპლად გახდნენ თავისი ამხანაგებისა, რომლებსაც, რაღაც ადმინისტრაციისთვის უცნობ მიზეზებით, ქიმიურ ობსტრუქციები მოაწყესო.

უფრო გაჭირვებულმა მუშებმა ქალაქის მოურავს მიჰმართეს შუამდგომლობით უმუშევრობის გამო დახმარება აღმოგვიჩინეთო.

**ლოკაუტის გამოძახილი.**

ბალტიის სახაზინო გემთა ქარხანაში ზოგიერთმა განყოფილებამ მუშაობა დაიწყო. როგორც ამბობენ, ახლო მომავალში ამ ქარხნის ყველა სახელოსნოში დაიწყება მუშაობა.

იაბლონსკისა, „ტრუდისა“ და „სამოობრაზოვანიეს“ სტამბებში ეკონომიური გაფიცვა ძალიან გართულდა. ეხლა სტამბის პატრონებს აგენტები დაუგზავნიათ პროვინციაში ახალი მუშების დასაქირავებლად.

27 მარტს დაიწყო პრელოვის ქარხანაში ეკონომიური გაფიცვა. მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს, ფული განსაზღვრულ დროზე გვეძლიოდესო. გაფიცულთაგანი ზოგი დაატუსაღეს. ქარხნებთან პოლიცია მიდარაჯობს.

20 მარტს ქარხანა „ვულკანის“ მუშა ი. ანდრეევი დემონსტრაციის დროს პოლიციელმა დასჭრა. მუშა ჭრილობისგან გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, მუშა ანდრეევი მოკვდარა სისხლის მოწამვლით, მთელი ხუთი დღე უგონოდ დებულა და საშინელი ტანჯვით დაულევია სული. ქარხანა „ვულკანის“ მუშებმა გადასწყვიტეს გვირგვინით შეამკონ ამხანაგის კუბო. მუშაობა წესიერად მიდის.

## უცხოეთი

### „ბერლინერ თაგებლატის“ აზრი სომხეთის საკითხის შესახებ.

„ბერლ. ტაგ.“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ოსმალეთის მთავრობის ოფიციალური ოპტიმიზმი, ვითომ ოსმალეთის მთავრობის ენერგიული გამოსვლა სასუნის ოლქში არეულობას მოსპობსო, ყველას არა სჯერათ. ახალგაზრდა ოსმალოს ორგანოები გრძნობენ, რომ საქმე უფრო სერიოზულია. კორესპონდენტის ცნობით, რომელიც კერძო, მაგრამ დანამდვილებითი წყაროებიდან არის, პოლკოვნიკი საფად-ბეი მხოლოდ მეორე ხარისხოვან როლს თამაშობდა ქურთთა მოძრაობაში. ნამდვილი ხელმძღვანელი ამ მოძრაობისა ყოფილა აბდულ-როსაკ-ბედირ-ხანი, რომელმაც რამდენიმე თვე გაატარა სპარსეთში მყოფ რუსეთის საკონსულოში. „ბერლ. ტაგ.“-ის კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ იარაღი და ფული სააგიტაციოდ სომხების წინააღმდეგ ქურთების ასაჯანყებლად რუსეთიდან მოდიოდაო, და ოსმალეთმა ეს დიდი ხანია იცოდაო.

## კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების კონფერენცია

23 მარტს კა-დეტების პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია მოხდა. ირჩეოდა სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის ტაქტიკა, დამოკიდებული მინისტრთა საბჭოში მომხდარ ცვლილებაზე და აგრეთვე დაკავშირებული წინადადებასთან, რომ ოპოზიცია გაერთიანებულ იქნეს. საკითხის ისტორია მოახსენა პ. მილიუკოვმა; იგი ამტკიცებდა, რომ მინისტრთა საბჭოში მომხდარ ცვლილებას სრულებით არ გადუხრია პოლიტიკა გაუმჯობესებისაკენ, პირიქით უფრო მარჯვნივ გაიწიაო.

ამგვარად მილიუკოვის აზრით, ლაპარაკიც კი არ შეიძლება, ეხლანდელ მდგომარეობაში კადეტების ტაქტიკის შეცვლაზე.

ოქტომბრისტებთან შეთანხმების საკითხის გამო, მან ძლიერ პესიმისტურად დაასურათა ერობის მოღვაწე ოქტომბრისტების პიროვნება.

პ. მილიუკოვს არა სჯერა ოქტომბრისტების უნარი, რომ მათ შეეძლოთ მთავრობის ეხლანდელ რეაქციონურ პოლიტიკასთან ბრძოლა, და ჰფიქრობს, რომ ფრაქცია არ საჭიროებს მათთან კავშირს. დასასრულ პ. მილიუკოვმა წინადადება მისცა კონფერენციას მხარი დაუჭიროს ფრაქციის სრულ დამოუკიდებლობას და სრულებით დამოუკიდებელ ოპოზიციონურ პოლიტიკის საჭიროებას.

შემდეგ ილაპარაკა პროვინციის დელეგატების მთელმა რიგმა და ცენტრალურ კომიტეტის წევრებმა.

პროვინციის დელეგატები არამც თუ ეთანხმებოდნენ პ. მილიუკოვს, აგრეთვე ხაზს უსვამდნენ, რომ სახელმწიფო სათათბიროში საჭიროა უფრო რადიკალური ტაქტიკაო.

რამდენიმე სხვა საკითხის შემდეგ კადეტები შეეხნენ ეროვნულ საკითხს.

მემარცხენე კადეტები, პროვინციის დელეგატები და ცენტრალურ კომიტეტის წევრები ამტკიცებდნენ, საჭიროა პარტიისათვის და მისი წარმომადგენლებისათვის სათათბიროში, დიდის ყურადღებით მოეპყრან ეროვნულ საკითხს, განსაკუთრებით რეპრესიებს, რომლითაც მთავრობა ძლიერ ავიწროებს ზოგიერთ ეროვნებას. უმრავლესობა მილიუკოვისა, შინგარიოვისა და ნეკრასოვის აზრს მიემხრო, რომ საჭიროა სრული, ფართო, თავისუფალი თვით გამორკვევა ავტონომიის შემწეობით რუსეთში მოსახლე ყველა ეროვნებათათვის.

მილიუკოვის მოხსენების დებულებანი ასეთი იყო:

1) კოკოვცევის დროინდელი გამოურკვეველი მდგომარეობა ქვეყნისა, ამ ჟამად შეიცვალა თანდათან გაზრდილ საჭიროებით, რომ გაკვლეულ იქნას გარკვეული გზა ან აქეთ ან იქით.

2) ჩვენი ქვეყანა მოითხოვს ოპოზიციისაგან, რომ თავისი მოქმედებით გამოარკვიოს საქმის მდგომარეობა.

3) ამის განსახორციელებლად საჭიროა ყველა ოპოზიციური პარტიების ერთიანი მოქმედება როგორც სათათბიროში, ისე მთელს რუსეთში.

4) ოპოზიციის მიზანი უნდა იყოს მთავრობის გათიშვა.

5) ამ მიზნის მისაღწევად მახლობელ სამოქმედოდ უნდა დავისახოთ მცხოვრებთა და ოპოზიციის შუა მჭიდრო კავშირის დამყარება.

6) კადეტთა პარტიამ ამის გამო უნდა წინანდელი კონფერენციების დადგენილებებით იხელმძღვანელოს, სათათბიროში უფრო ხშირად უნდა გამოვდიოდეთ, უფლებათა დარღვევის შესახებ შეკითხვები ხშირად შევიტანოთ, და შევიტანოთ კანონპროექტები, რომლებიც კონკრეტულ ინტერესს წარმოადგენენ ამა თუ იმ დემოკრატიული წრეებისთვის.

7) ფრაქციასთან უნდა დაარსდეს ბიურო იურიდიული დახმარებისა, რომელიც მცხოვრებთ დააინტერესებს.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**31 მარტი.**

**უცხოეთი.**

**ბერლინი.** კანცლერი კორფუში წავიდა.

**რომი.** მარკიზი სან-ჯულიანო აბისინიაში წავიდა.

**პეშავერი.** ვაზირისტანის პოლიტიკური აგენტი მაიორი დოდდის ინდუსმა—მოსამსახურემ რევოლვერით დასჭრა მაიორი და ერთი ოფიცერი; მოჰკლა ოფიცერი და ორი სხვა პირი. ინდუსი პოლიციამ მოჰკლა.

**ტოკიო.** კაბინეტის შედგენა ოკუმის მიანდეს. ოკუმა 1898 წელს იყო პრემიერად. მან პროგრესიული პარტია დაარსა.

**ესპერნი.** ფრენაში გაჯიბრების დროს უბედურება მოხდა. მფრინავი დემონიე ჩამოვარდა, ორივე ფეხი მოიტეხა და შიგნეულობა საშინლად დაუშავდა.

**რუსეთი.**

**ირკუტსკი.** გაირჩა საქმე მეტელევის შვილებისა და მათი ამხანაგის დავიდოვისა, რომელთაც მეტელევის მოკვლა ბრალდებოდათ. ყველანი გაამართლეს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** თოვლი მოვიდა. ოკაზე ყინული ისეთი მაგარია, რომ ზედ მარხილები დადიან.

**პეტერბურგი.** კუს ავადმყოფობასთან მებრძოლთა პირველი კრება მოხდა. დაესწრო სამკურნალო საზოგადოებათა 265 წარმომადგენელი. თავმჯდომარედ მოსკოვის პროფესორი ნიკიფოროვი აირჩიეს.

## შემოწირულება

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ჩვენს მიერ ქ. ბაქოში ქართველ მოსამსახურეებში მოგროვილი ფული გარდასცეთ **არჩილ ჯორჯაძის ძეგლის** ფონდის გასაძლიერებლად.

შემომწირველთა სია: კოწია ბაქრაძემ 3 მან., ვარლამ სხირტლაძემ 2 მან., ვარლამ მღვდლაძემ 1 მ. 50 კ., ტრიფონ დუღუჩავამ 1 მან., ვასილ კირვალიძემ 1 მ., ვანო გომართელმა 1 მ., არტემ ნოდიამ 1 მ., ვანო ლობჟანიძემ 1 მ., ვასილ გაგნიძემ 50 კაპ., გრამიტონ ხვედელიანმა 40 კ., ბესო გოგლიძემ 40 კ., გერასიმ გოგლიძემ 40 კ., ნესტორ სხირტლაძემ 50 კ., ილიკო ჯოხაძემ 50 კ., ონისიმე მაჩაიძემ 50 კ., სიმონ ჯოხაძემ 50 კ., არჩილ კობერიძემ 40 კ., ვანო კირვალიძემ 50 კ, ანტონ ბერიძემ 40 კ., გაბო კუსარაშვილმა 30 კ., სერგო გაგნიძემ 40 კ., სანდრო კირვალიძემ 50 კ., კოწია ქართველიშვილმა 30 კ., ლადიმერ ბაქრაძემ 50 კ., გრამიტონ გოცირიძემ 50 კ., რევაზ სხირტლაძემ 40 კ., სპირიდონ გაგნიძემ 50 კ., ვასილ როთველაძემ 50 კ., მიხეილ სხირტლაძემ 30 კ., ონისიმე ხიდურელმა 50 კ., ვასო მაისურაძემ 50 კ. სულ შესდგა 21 მან. 70 კაპ.

პატივისცემით **კოწია ბაქრაძე, ვარლამ სხირტლაძე.**

ბ-ნო რედაქტორო! გვგზავნით ხუთ მანეთს **არჩილ ჯორჯაძის** ძეგლის სასარგებლოდ და ხუთ მანეთს **ილიასეულ სახლის** სასარგებლოდ.

**ხოლ. ჭეიშვილი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ალაგი მისცეთ ამ მცირე წერილს თქვენს გაზეთში. უღრმეს მადლობას უძღვნი პოდპოლკოვნიკს ზაქარია ლუარსაბის ძეს ბოსტიაშვილს და მღვდელს მ. სმირნოვს რომლებთაც ინებეს და დახმარება აღმოუჩინეს ს. სვირში დამწვრის ალაგს აშენებულ ღარიბ ეკლესიას. სია ნივთებისა: მთავრის შესამოსი 1 ხელი; ბავშვებისთვის სტიხრები 2 ცალი; ტრაპეზის გადასაფარი 2 ცალი; მთავრის შავი სტიხარი 1 ცალი; ხატები ვერცხლის და ხის 9 ცალი; შემოწირულება კიდევ ბევრია საჭირო, რომელზედაც დაგვაიმედა დეკანოზმა მ. გიორგი გამრეკელმა და აღგვითქვა მოკლე ხანში მოგვაწოდოს რასაც თვითონ მოისურვებს, რისთვისაც უძღვნით წინდაწინ უღრმეს მადლობას.

**ანტონ მოსეს ძე გიორგაძე.**

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულ „სახალხო გაზეთი“-ს საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ყველას, ვინც კეთილ ინებეს და საგარეჯოს ბიბლიოთეკას დახმარება აღმოუჩინეს

შემომწირველთა სია: ბ. ლუარსაბ ბოცვაძემ შემოსწირა თავის „განათლების“-ს 1912 და 1913 წ. ნომრები; საგარეჯოს მომხმარებელ საზოგადოება „იორმა“ 50 მანეთი; ბ.ბ. ნ. ბაზიერაშვილმა და ნიკო ლეჟავამ სამ-სამი მანეთი; ქ-მა ს. ბერიძისამ და გ. ა. ფალიაშვილმა ორ-ორი მანეთი; ბ.ბ. ა. მელივამ, იერ. გულისაშვილმა და მღ. ს. მჭედლიშვილმა თითო მანეთი; ბ. მ. დაფქვიაშვილმა სამკითხველოს „სასოფლო გაზეთი“ გამოუწერა; ბ. ა. მელივამ და ა. ლეჟავამ—„განათლება“; ი. ოქრომჭედლიშვილმა შემოსწირა ქართული კალენდარი.

**საგარეჯოს ბიბლიოთეკის სამზრუნველო.**

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106 **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამ. 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამ. 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისაკენ:** **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 00 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ. № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 36 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

**ჯულფიდან** № 4|3 საფოსტო 7 საათსა და 00 წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26|25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მეორე და მე-3 კლასის ვაგონით.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 **ბ. ფუთინა-ოხაპაშვილი**, ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461). 3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქილანბარიძე** (სოლოლაკი, ამაღლების) ტელ. 517). 5—6 **ა. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვის ქ. 10. ტელ. 645). 7—8 **ნ. ღ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709). 9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487). 10—12 **ვ. ა. მარაჭოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესრიგის შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.— დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ერევნის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში ნიკოს ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ლაკინის მოედანზე.

ვარდის ფერი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ხავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება.
ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711“.
ერთადერთი ფაბრიკა: ფერდ. მიულჰენსისა.
ნაჭერი 25 კ.
Метцль. 547912.
1020 პარფიუმერია კელნი, რიგა.

ყველგან მოითხოვეთ
„ამაზმორინ“-ი,
უებარი საშუალება ფეხის და სხეულს /სხვა ნაწილების ოფლისა
ა. ე. ისააკიანცისა.
ეს ფხვიერი ყოვლად უვნებელია.
საუკეთესო მოწონების ბარათები აქვს.
ფასი 20 კ.
საწყობები: ძმ. ტერტეროვების სააფთიაქო საწყობი თ-დ ვორონცოვის ძეგლთან, ან ანტონოვის ქუჩა № 32, არამს. 219

შემ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფებს მიდებს ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
ბ. გ. ბეგახბაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. [illegible], ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი,
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა: 1—2 ს. ბავშვთა და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1071

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძევილოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9
ტელეფონი № 712

ფეხსაცმელების მაღაზია
თომა დ.
ჯანყარაშვილის
მუხრანის ქ. № 2.

მიღებულია საალდგომოდ დიდძალი ფეხსაცმელები ამხ. პეტერბურგის მექანიკური და ვარშავისა ქალებისა, ვაჟებისა და ბავშვების.
ფასები საქარხნოა. აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები. 172.

ყველა წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
ახალი წიგნი
ქართველი პოეტების
ლექსები, ნათარგმნი ნ. ე. მ. (რეულო) (აბაშელი, აბაშიძე, ახოსპირელი, ბარათაშვილი, განდეგილი, გრიშაშვილი, გურიელი, მაყაშვილი, მეგრელი, ვაჟა-ფშაველა, რუხაძე, ა. წერეთელი, ა. და ი. ჭავჭავაძე, ჭოლოდიდელი, შანშიაშვილი, ევდოშვილი და რ. ერისთავი)
ფასი 1 მან. 25 კაპ. 217

ექიმი
კბილისა
ნინო რცხილაძე,
გადმოვიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ძირს, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

მაღაზია
„ექსელანს“-ი
სავ. სახ. ა. ე. და ა. დ. აკოფჯანოვებისა და ამხ.
ტფილისი, გოლოვინის პროსპ., სახლი მანთაშევისა, საზოგადოების საკრებულოს ქვეშ. ტელეფონი № 696.
რადგანაც მივიღეთ დიდ-ძალი შეკვეთილი რჩეული ტანისამოსი კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის
აღდგომის მოახლოვებისა გამო დავნიშნეთ
უდიდესი იაფი ვაჭრობა
მეტის-მეტად იაფად. გარდა ამისა მიღებული გვაქვს
დიდ-ძალი რჩეული საქონელი,
რუსეთული და საზღვარ-გარეთული საქონელი, ყოველ-გვარ შეკვეთისათვის, რომელიც გამოცდილ გამომჭრელისა მეთვალყურეობით სრულდება.
საშური შეკვეთას 24 საათის განმავლობაში ვასრულებთ. საქონლისა სიიაფეში და აურაცხელ რჩეულ საქონლის ღირსებაში გთხოვთ თვითონ დარწმუნდეთ.
ფასები შეუვაჭრებლად.

ტფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.